გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება №47
2024 წლის 12 აპრილი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირის - ფ/პ ნონა გამხიტაშვილისთვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით გაცემული აქვს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის, მათ შორის, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ/პ ნონა გამხიტაშვილს შორის 2022 წლის 20 ივნისს დადებული №10 იჯარის ხელშეკრულებით, ფ/პ ნონა გამხიტაშვილს 2 წლის ვადით გადაცემული აქვს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.43.10.000.009) ცეკვის სტუდიის მოწყობის მიზნით. ხელშეკრულების მიხედვით ფ/პ ნონა გამხიტაშვილს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაშიც დაეკისრებოდა პირგასამტეხლო იჯარის ქირის გადაუხდელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით (მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა) დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნულის ფარგლებში, 2024 წლის 14 მარტის მდგომარეობით იჯარის ქირის გადახდის დაგვიანების გამო, ფ/პ ნონა გამხიტაშვილს დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო 1555 (ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ნონა გამხიტაშვილის 2024 წლის 13 მარტის №19/2024073411-20 განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ თანხის გადაუხდელობა გამოწვეული იყო ნონა გამხიტაშვილის ჯანმრთელობის პრობლემების გამო, რის შედეგადაც ვეღარ შეძლო საქმიანობის განხორციელება, რისთვისაც ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულებით გადაცემული ფართი, რის გამოც დაეკისრა ზემოაღნიშნული პირგასამტეხლო. ქალბატონი ნონა გამხიტაშვილი ახორციელებს კულტურის სფეროში მოღვაწეობას, კერძოდ ეწევა მომავალი თაობისათვის ქართული ხალხური ცეკვების შესწავლას და ასევე აქვს მრავალ ღონისძიებაში მიღებული მონაწილეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას, რაც, მითითებული

დარღვევის მიზეზის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირი - ფ/პ ნონა გამხიტაშვილი გათავისუფლდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ/პ ნონა გამხიტაშვილს შორის 2022 წლის 20 ივნისს დადებული №10 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის 2024 წლის 14 მარტის მდგომარეობით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ჯამში 1555 (ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირი - ფ/პ ნონა გამხიტაშვილი გათავისუფლდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ/პ ნონა გამხიტაშვილს შორის 2022 წლის 20 ივნისს დადებული №10 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის 2024 წლის 14 მარტის მდგომარეობით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ჯამში 1555 (ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**